

ადტერნატივა ჯორჯია

წიგნიანი ანგარიში
2010

სარჩევი:

აღმასრულებელი დირექტორის სიტყვა	3
“ალტერნატივა ჯორჯიას” შესახებ	4
პროექტები	5
სუბოქსონი და მეთადონი აივ გადაცემის რისკის შემცირებისთვის სუბუტექსის ინიექციურ მომხმარებლებში	6
ნარკოტიკების ინიექციურ მომხმარებელთა (ამფეტამინის ტიპის სტიმულატორების) აივ/შიდსთან დაკავშირებული სარისკო ქცევის ახალი ტენდენციები და ნარკოტიკულ საშუალებათა გავრცელება ევრაზიის 4 ქვეყანაში	7
რამდენად ეფექტურია ქუჩის ნარკოტესტირება?	8
“ჰუმანურობა პირველ რიგში!”	10
2010 წლის ფინანსური ანგარიში	11

აღმასრულებელი დირექტორის სიტყვა


“ალტერნატივა ჯორჯია” წარმოადგენს არასამთავრობო, არაკომერციულ ორგანიზაციას, რომელიც 2004 წლის სექტემბერში დაარსდა. ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია წამლდამოკიდებულების დარგში კვლევების წარმოება, ზიანის შემცირების პროგრამების ადვოკაცია, ნარკოტიკების სფეროში მტკიცებულებებზე დაფუძნებული ეფექტური სტრატეგიების დანერგვის ხელშეწყობა, პრაგმატული და ჰუმანური ნარკო და აივ/შიდსის კანონმდებლობის შემუშავება და მოწვევლადი ჯგუფების უფლებების დაცვა.

კვლევის ძირითად აქცენტს (ქცევითი და კლინიკური) წარმოადგენს ოპიოიდები და თვითნაკეთი სტიმულატორები, ხშირ შემთხვევაში აქცენტით აივ/შიდსის სარისკო ქცევებზე. “ალტერნატივა ჯორჯია” თანამშრომლობს რამდენიმე წამყვან საერთაშორისო კვლევით დაწესებულებებთან, როგორებიცაა ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტი, პენსილვანიის უნივერსიტეტი, RTI და ჩარლზის უნივერსიტეტი პრადში.

“ალტერნატივა ჯორჯია” ექვს არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად “ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის” დამფუძნებელია. ქსელი ამჟამად აერთიანებს 18 ორგანიზაციას მთელი საქართველოს მასშტაბით და წარმოადგენს ქვეყანაში ზიანის შემცირების სერვისების ძირითად მომწოდებელს.

ნარკოპოლიტიკის სფეროში “ალტერნატივა ჯორჯიას” საქმიანობაა ეროვნული ნარკოპოლიტიკის კონცეფციის შემუშავება; ნარკოპოლიტიკის ეროვნული სამოქმედო გეგმის შექმნა 2007-2009 წლებისთვის; ნარკოპოლიტიკისადმი მიძღვნილი პირველი ეროვნული კონფერენციის ორგანიზება (2005 წ.) და საქართველოში ნარკოპოლიტიკაში შესატანი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება. ამ უკანასკნელი ინიციატივის განხორციელების მიზნით “ალტერნატივა ჯორჯიამ” და ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის სხვა წევრმა ორგანიზაციებმა გამართეს მხარდამჭერი კამპანია და საკანონმდებლო ცვლილების განსახორციელებლად მოქალაქეთა 58.000 ხელმოწერა შეაგროვეს. კანონპროექტი უნდა განიხილოს პარლამენტმა.

დავით ოთიაშვილი



ალტერნატივა ჯორჯიას შესახებ

“ალტერნატივა ჯორჯია” წარმოადგენს არასამთავრობო, არაკომერციულ ორგანიზაციას, რომელიც 2004 წლის სექტემბერში დაარსდა. ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია წამლდამოკიდებულების დარგში კვლევების წარმოება, ზიანის შემცირების პროგრამების ადვოკაცია, ნარკოტიკების სფეროში მტკიცებულებებზე დაფუძნებული ეფექტური სტრატეგიების დანერგვის ხელშეწყობა, პრაგმატული და ჰუმანური ნარკო და აივ/შიდსის კანონმდებლობის შემუშავება და მოწვევადი ჯგუფების უფლებების დაცვა.

კვლევის ძირითად აქცენტს (ქცევითი და კლინიკური) წარმოადგენს ოპიოიდები და თვითნაკეთი სტიმულატორები, ხშირ შემთხვევაში აქცენტით აივ/შიდსის სარისკო ქცევებზე. “ალტერნატივა ჯორჯია” თანამშრომლობს რამდენიმე წამყვან საერთაშორისო კვლევით დაწესებულებებთან, როგორებიცაა ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტი, პენსილვანიის უნივერსიტეტი, RTI და ჩარლზის უნივერსიტეტი პრადაში.

“ალტერნატივა ჯორჯია” ექვს არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად “ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის” დამფუძნებელია. ქსელი ამჟამად აერთიანებს 18 ორგანიზაციას მთელი საქართველოს მასშტაბით და წარმოადგენს ქვეყანაში ზიანის შემცირების სერვისების ძირითად მომწოდებელს.

ნარკოპოლიტიკის სფეროში “ალტერნატივა ჯორჯიას” საქმიანობაა ეროვნული ნარკოპოლიტიკის კონცეფციის შემუშავება; ნარკოპოლიტიკის ეროვნული სამოქმედო გეგმის შექმნა 2007-2009 წლებისთვის; ნარკოპოლიტიკისადმი მიძღვნილი პირველი ეროვნული კონფერენციის ორგანიზება (2005 წ.) და საქართველოში ნარკოპოლიტიკაში შესატანი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება. ამ უკანასკნელი ინიციატივის განხორციელების მიზნით “ალტერნატივა ჯორჯიამ” და ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის სხვა წევრმა ორგანიზაციებმა გამართეს მხარდამჭერი კამპანია და საკანონმდებლო ცვლილების განსახორციელებლად მოქალაქეთა 58.000 ხელმოწერა შეაგროვეს. კანონპროექტი უნდა განიხილოს პარლამენტმა.

“ალტერნატივა ჯორჯიას” მიერ 2010 წელს განხორციელებული პროექტები:

- ✓ 2009-2011 წწ. - სუბოქსონი და მეთადონი აივ გადაცემის რისკის შემცირებისთვის სუბუტექსის ინიექციურ მომხმარებლებში;
- ✓ 2009-2010 წწ. - ნარკოტიკების ინიექციურ მომხმარებელთა (ამფეტამინის ტიპის სტიმულატორების) აივ/შიდსთან დაკავშირებული სარისკო ქცევის ახალი ტენდენციები და ნარკოტიკულ საშუალებათა გავრცელება ევრაზიის 4 ქვეყანაში - პილოტური კვლევა;
- ✓ 2009-2011 წწ. - რამდენად ეფექტურია ქუჩის ნარკოტესტირება?
- ✓ 2009-2011 წწ. - “ჰუმანურობა პირველ რიგში!”

პროექტები

პროექტი	დონორი	ამოცანები	ბიუჯეტი აშშ \$	დროის გრაფიკი
სუბოქსონი და მეთადონი აივ გადაცემის რისკის შემცირებისთვის სუბუტექსის ინიექციურ მომხმარებლებში	NIH/NIDA (ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტები/ ამერიკის წამალდამოკიდებულების ეროვნული ინსტიტუტი)	პილოტური მონაცემების შეგროვება 12-კვირიანი, ყოველდღიური კურსის შედეგების შესახებ სუბოქსონი/მეთადონის მიღების შემდეგ. ასევე, ბუპრენორფინისა და ოპიოიდების მოხმარებასთან დაკავშირებული აივ რისკების შესახებ.	220,000	05/2009- 05/2011
ნარკოტიკების ინიექციურ მომხმარებელთა (ამფეტამინის ტიპის სტიმულატორების) აივ/შიდსთან დაკავშირებული სარისკო ქცევის ახალი ტენდენციები და ნარკოტიკულ საშუალებათა გავრცელება ევრაზიის 4 ქვეყანაში	NIDA/CRDF (ამერიკის წამალდამოკიდებულების ეროვნული ინსტიტუტი /სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი)	ნარკოტიკების ინიექციურ მომხმარებელთა შორის ახალი ტენდენციებისა და ახალი ნივთიერებების აღმოცენების უკეთ გაცნობა აღმოსავლეთ ევროპის 2 (ჩეხეთი, უკრაინა) და სამხრეთ კავკასიის 2 ქვეყანაში (საქართველო, სომხეთი), კერძოდ აივ/შიდსის გადაცემის რისკები, ამფეტამინის ტიპის სტიმულატორების ინიექციურ მომხმარებელთა დაკავშირებით.	14,239	08/2009- 11/2010
რამდენად ეფექტურია ქუჩის ნარკოტესტირება?	OSI	სახელმწიფო დანახარჯებისა და სამართალდამცავი ორგანოების ღონისძიებების შედეგების შეფასება	81,174	09/2009- 02/2011
ჰუმანურობა პირველ რიგში!	ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტრო	საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა და მომხმარებელთა რეპრესიული მიდგომის წინააღმდეგ ბრძოლა.	236,250	11/2009- 10/2011

2009-2011 - სუბოქსონი და მეთადონი სუბუტექსის ინიექციურ მომხმარებლებში აივ-ინფიცირების რისკის შემცირების მიზნით

საერთაშორისო კოლაბორატული კვლევა (R21)

სპონსორი - NIH/NIDA

კოლაბორატორები - პენსილვანიის უნივერსიტეტი (აშშ, პენსილვანია), კლინიკა “ურანტი” (საქართველო, თბილისი), აშშ მთავარი მკვლევარი - ექიმი ჯორჯ ი. ვუდი

მოცემული კვლევის შედეგად მოხდება საპილოტე მონაცემების შეგროვება სუბოქსონისა და მეთადონის ყოველდღიური მიღების პირობებში, 12-კვირიანი კურსის ხანმოკლე ზემოქმედების შესახებ აივ-ინფიცირების რისკზე, რომელიც უკავშირდება ბუპრენორფინისა და ოპიოიდების ინიექციურ მოხმარებას. მონაცემების შეგროვება ასევე მოხდება 20 კვირის თავზე მიღწეული შედეგების შესახებ, როდესაც პაციენტებს დასრულებული აქვთ დოზის შემცირების 3-კვირიანი კურსი, რომელიც მოსდევს დოზის სტაბილურად მიღების 12-კვირიან კურსს და რომლებიც გადაყვანილ იქნენ მეთადონზე ან დაწესებულებაში მკურნალობაზე ან რომლებიც გამოეთიშნენ მკურნალობას. ამ ორიდან ნებისმიერმა მედიკამენტმა, საცდელი დოზის სახით დღიურად მიცემის შემთხვევაში შეიძლება შეამციროს სუბუტექსის ინიექციურად მოხმარების დოზა.

კვლევაში მონაწილეობს 80 ოპიოიდდამოკიდებული პაციენტი (40/ჯგუფი), რომელთაც ინიექციურად მოხმარებული აქვთ სუბუტექსი 10-ჯერ და მეტად უკანასკნელი 30 დღის მანძილზე. კვლევის შედეგი შეფასდება შემდეგი ინდიკატორის მიხედვით: აივ-ინფექციის ინიექციური გზით გავრცელების რისკი, თავად მომხმარებლების მიერ გაცხადებული სუბუტექსისა და ჰეროინის მოხმარება, ნემსის ნაკვალევის ყოველკვირეული დათვლა, შარდის ანალიზის პასუხები. კვლევა ჩატარდება კლინიკა "ურანტი" ორგანიზებული მეთადონის პროგრამის ფარგლებში, წამალდამოკიდებულების კვლევით ცენტრ “ალტერნატივა ჯორჯიასთან” ერთად თანამშრომლობით.

რანდომიზებული კონტროლირებადი კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს პილოტური მონაცემების შეგროვება 12 კვირიანი, ყოველდღიური კურსის შედეგების შესახებ სუბოქსონი/მეთადონი მიღების შედეგად: 1) ბუპრენორფინისა და ოპიოიდების მოხმარებასთან დაკავშირებული აივ რისკის შესახებ; 2) სამიზნე ჯგუფის მხრიდან თითოეული მკურნალობის სახის მიღების ხარისხის შესახებ.

2009-2010 წწ. - ნარკოტიკების ინიექციურ მომხმარებელთა (ამფეტამინის ტიპის სტიმულატორების) აივ/შიდსთან დაკავშირებული სარისკო ქცევის ახალი ტენდენციები და ნარკოტიკულ საშუალებათა გაერცვლება ევრაზიის 4 ქვეყანაში - პილოტური კვლევა

საერთაშორისო კოლაბორატული კვლევა

სპონსორი - NIDA/CRDF

კოლაბორატორები - ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტი, ალაბამას უნივერსიტეტი ბირმინგემში, კოლორადო დენვერის უნივერსიტეტი, ჩარლზის უნივერსიტეტი პრადაში; აშშ მთავარი მკვლევარი - რობერტ ბუთი, მეცნ. დოქტორი; ევრაზიის მთავარი მკვლევარი - ექიმი ტომას ზაბრანსკი, მეცნ. დოქტორი.

შემოთავაზებული პროექტის მიზანს წარმოადგენს ნარკოტიკების ინიექციურ მომხმარებელთა შორის ახალი ტენდენციებისა და ახალი ნივთიერებების აღმოცენების უკეთ გაცნობა აღმოსავლეთ ევროპის 2 (ჩეხეთი, უკრაინა) და სამხრეთ კავკასიის 2 ქვეყანაში (საქართველო, სომხეთი), კერძოდ აივ/შიდსის გადაცემის რისკები, ამფეტამინის ტიპის სტიმულატორების ინიექციურ მოხმარებასთან დაკავშირებით.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ნარკოტიკის მომხმარებელთა/მწარმოებელთა ჯგუფებს და სხვადასხვა ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებულ სქესობრივ ქცევას. აივ-პრევალენტობისა და აივ-ინფექციის შემთხვევების რაოდენობის, ასევე ამფეტამინის ტიპის სტიმულანტების ინიექციური მოხმარების თვალსაზრისით ვითარება და მისი სიმწვავე სომხეთში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, საქართველოსა და უკრაინაში მუდამ იცვლება.

კვლევის მოდელი სხვადასხვა მეთოდებს მოიცავდა (რაოდენობრივსა და თვისებრივს). კვლევაში მონაწილე 4 დაწესებულებიდან თითოეული (ყოველ ქვეყანაში თითო დაწესებულება) კვლევაში რთავდა ორ ფოკუს-ჯგუფს - პირველ ფოკუს-ჯგუფში შედიოდა 6-8 სოციალური მუშაკი იმ პროგრამებიდან, რომლებიც ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლებს დაბალზღურბლოვან მომსახურეობას სთავაზობდა, ხოლო მეორე ჯგუფი შედგებოდა ნარკოტიკული საშუალებების 8 ინიექციური მომხმარებლისგან (მათგან 4 - მოხმარების დიდი სტაჟით და ოთხი - ნარკოტიკის მოხმარების შედარებით ხანმოკლე სტაჟით). ხარისხობრივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ნარკოტიკული საშუალებების ≥ 100 მომხმარებელს, რომლებიც სარგებლობენ დაბალზღურბლოვანი მომსახურეობით თითოეული ქვეყნის მიერ შერჩეულ რეგიონში/ქალაქში, ჩაუტარდა თითო გამოკითხვა კითხვარის დახმარებით.

2009-2011 წწ. - რამდენად ეფექტურია ქუჩის ნარკოტესტირება?

სპონსორი - PHP OSI

კოლაბორატორები - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი, მოწვეული კონსულტანტები - ექიმი ტომაშ ზაბრანსკი, მეცნ. დოქტორი, პრადის ჩარლზის უნივერსიტეტი და საერთაშორისო ფონდი “კურაციო”.

პროექტის მიზანი იყო: 1) სახელმწიფო დანახარჯებისა და შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების ღონისძიებების (ქუჩის ნარკოტესტირება და შემდგომი ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები) შედეგების შეფასება; 2) შედეგების რაოდენობრივი განსაზღვრა, რომლის მიღწევაც შესაძლებელი იქნებოდა ქუჩის ნარკოტესტირებაზე დახარჯული თანხები ჩანაცვლებით თერაპიას რომ მოხმარებოდა.

კვლევის კითხვები

- ა. რამდენი დახარჯა ქვეყნის მთავრობამ ქუჩის ნარკოტესტირებაზე და შემდგომ სამართლებრივ ღონისძიებებზე 2008 წელს;
- ბ. რა გავლენა იქონია ქუჩის ნარკოტესტირების პოლიტიკამ ნარკოტიკების მომხმარებლების კარიერაზე, ნარკოტიკების მოხმარება/არმოხმარებაზე და ამასთან დაკავშირებულ არაკანონიერ ქცევაზე, მათ შორის (თუმცა ამით არ შემოიფარგლება) - მკურნალობაში ჩართული ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების რაოდენობა, უკანონო ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, აივ რისკი და კრიმინალური ქცევა;
- გ. რისი მიღწევა იქნებოდა შესაძლებელი, თუკი თანხები, რომლებიც დაითვლება ა) პუნქტში, ჩანაცვლებითი თერაპიის გაფართოებისთვის იქნებოდა დახარჯული.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ნარკოტიკების მომხმარებელთა დასჯა და დაპატიმრება საქართველოში ახდენს უმნიშვნელო (ან არავითარ) გავლენას ნარკოტიკებთან დაკავშირებულ ქცევაზე და წარმოადგენს ძალოვანი სტრუქტურების და სასამართლო სისტემის ისედაც შეზღუდული რესურსების არაეფექტურ ხარჯვას. სადამსჯელო ზომების შედეგად, რომელთაც ანალოგი არ გააჩნიათ განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში, არ მოხდა ნარკოტიკების მოხმარების შემცირება. ამ ზომებმა შედეგად გამოიღო 1 605 პირის კრიმინალიზაცია, რაც როგორც საყოველთაოდ ცნობილია, იწვევს ნარკოტიკების მომხმარებლების ჩათრევას არა მხოლოდ ნარკოტიკებთან დაკავშირებულ კანონდარღვევებში, არამედ კრიმინალურ ქმედებებში, რომლებიც საზოგადოებისთვის გაცილებით მეტ საშიშროებას წარმოადგენს.

ჩვენ შეგვიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადოთ, რომ ნარკოტიკების მოხმარებაზე ტესტირებამ მომხრეების მოლოდინი არ გაამართლა ნარკოტიკების მოხმარების მასშტაბის შემცირების თვალსაზრისით და მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი მიაყენა ქართველ საზოგადოებას. ფულად ზარალს ემატება ის არამატერიალური ზარალები, რომელთა ფულადი ფორმით გამოსახვა არ ხერხდება (ბაზრის მეორეული შედეგები, დამცირება, რომელიც გადაიტანეს პირებმა შემოწმების შედეგად, ოჯახის წევრების განცდები, ნარკოტიკების მომხმარებელთა კრიმინალიზაცია და სხვ.). გარდა ამისა, შესწავლილი ინტერვენციის (ქუჩის ნარკოტესტირება) ნულოვანი ზემოქმედების

გათვალისწინებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ პოლიციის ორი სამსახურის (საპატრულო და კრიმინალური) ორიენტირებამ ქუჩაში ახალგაზრდებზე “ნადირობაზე”, მათ (და სხვა სამართალდამცავ ორგანოებსაც) დააკარგვინა ძვირფასი რესურსები, რომელთა გამოყენებაც დანიშნულებისამებრ – საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების მიზნით - უფრო უპრიანი იქნებოდა.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით “ალტერნატივა ჯორჯია” იძლევა შემდეგ რეკომენდაციებს:

სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნას 273-ე მუხლი, რის შედეგადაც ყოველწლიურად 1600 ადამიანი ასცდება ციხეში სასჯელის მოხდას და დაიბრუნება 8 მილიონზე მეტი ლარი, რომელიც დაპატიმრებას ხმარდება.

კვლევამ აჩვენა, რომ დაპატიმრება არ არის ეფექტური არჩევანი ნარკოტიკის მოხმარების მასშტაბის შესამცირებლად. დასჯისა და დაპატიმრების შიში (დიდად) ვერ აიძულებს ადამიანს, მიიღოს ნარკოტიკის მოხმარების შეწყვეტის გადაწყვეტილება. არ არსებობს მნიშვნელოვანი კორელაცია დაპატიმრების მაჩვენებელსა და ნარკოტიკის მოხმარებელთა რაოდენობას შორის სხვადასხვა ქვეყნებში (Bewley-Taylor et al, 2007). ნარკოტიკებისა და დანაშაულის გაეროს სამმართველოს (UNODC) თანახმად, ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის გამო დაპატიმრებულთა 70-98% უბრუნდება ნარკოტიკის მოხმარებას სასჯელის მოხდიდან 1 წლის მანძილზე, თუ არ ჩაუტარდათ ეფექტური მკურნალობა.

პოლიციის პრიორიტეტი უნდა გახდეს ბრძოლა იმ დანაშაულის წინააღმდეგ, რომელიც რეალურად ზემოქმედებს კრიმინალურ სიტუაციაზე და საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე, და არა ნარკოტიკების მოხმარებელთა დევნა.

დაზოგილი თანხა (8 მილიონი ლარი) მიმართულ იქნას თანამედროვე, სტრუქტურირებული, ევროკავშირის ტიპის ეროვნული ნარკოსტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და რეალიზებაზე. ასეთი ნარკოსტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში მოხდება მოთხოვნის შემცირების იმ ეფექტური პროგრამების (მკურნალობა, ზიანის შემცირება, რეაბილიტაცია, პრევენცია)¹ დანერგვა და/ან მოქმედების არეალის ზრდა, რომლებიც რენტაბელურია, როგორც საზოგადოებრივი, ისე სახელმწიფო ბიუჯეტის თვალსაზრისით. კვლევებმა ცხადჰყო, რომ წამლდამოკიდებულების მკურნალობა მნიშვნელოვნად ამცირებს კრიმინალურ ქცევას და მკურნალობის ეკონომიკური სარგებელი რამდენჯერმე აჭარბებს მის ღირებულებას (Stevens et al, 2005)

¹ თეორიული მაგალითის სახით განვიხილოთ: 8 მილიონი ლარის განთავსება ნარკოტიკებზე მოთხოვნის შემცირების მიმართულებით საკმარისი იქნება 1200 პაციენტისთვის ერთწლიანი მეთაღონით ჩანაცვლებითი მკურნალობის განსახორციელებლად, 2700 პაციენტისთვის ამბულატორული დეტოქსის ჩასატარებლად, 700-ზე მეტი პაციენტისთვის სტაციონარული დეტოქსის ჩასატარებლად, 26000 პირისთვის ფსიქო-სოციალური კონსულტაციის გასაწევად და 6000-ზე მეტი პირის ჩასართავად ნემსებისა და შპრიცების გაცვლის პროგრამებში (გამოთვლები მოყვანილია წყაროდან: Radimecky et al, 2006).

2009-2011 - “ჰუმანურობა პირველ რიგში!”

სპონსორი - MATRA projects, ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტრო
კოლაბორატორები - მეინლაინის ფონდი (ამსტერდამი, ნიდერლანდები) და “თანადგომა”
(თბილისი, საქართველო)

პროექტის “ჰუმანურობა პირველ რიგში!” მიზანია საქართველოში ნარკოტიკების მომხმარებელთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა და ნარკოტიკის მომხმარებლებისადმი რეპრესიული მოპყრობის აღმოფხვრა.

კვლევის შედეგად საქართველოს ციხის ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია ყველა საჭირო საშუალებით, რათა შეიმუშაონ ძირითადი სამედიცინო დახმარების, ზიანის შემცირების პროგრამები და აივ პრევენციის სერვისები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში (მათ შორის ნებაყოფლობითი კონსულტირება-ტესტირება, დიაგნოსტირება, მკურნალობა და მოვლა).

- საქართველოს სამ საპატიმროში ნარკოტიკების მომხმარებელი პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობის, მათ მიერ ნარკოტიკების მოხმარების მეთოდებისა და ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკის სახეებისა და აივ-პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის შესახებ კვლევის ჩატარება;
- კონფერენციის ჩატარება ციხის ადმინისტრაციისა და პენიტენციულ სისტემაში მომუშავე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის;
- ციხის პირობებში ზიანის შემცირების სრულფასოვანი პროგრამებისა და აივ-პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ზომების შემუშავება.

საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლებსა და სამართალდამცავ პერსონალს კარგად ესმის, აცნობიერებს და მხარს უჭერს მკურნალობას და არა დაპატიმრების ზომას ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული დანაშაულის გამო.

- სემინარები მოსამართლეებისთვის, პოლიციისა და ციხის ადმინისტრაციისთვის ნარკოტიკის მომხმარებელთა უფლებების შესახებ ეროვნული კანონმდებლობის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საერთაშორისო მეთოდების შესახებ;
- პრაქტიკული სემინარები მოსამართლეების, პოლიციისა და ციხის ადმინისტრაციის უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით;
- სასწავლო ვიზიტები ნიდერლანდებში მოსამართლეებისთვის, პროკურორებისათვის, პოლიციის მუშაკებისთვის, ხოლო ესპანეთში - ციხის ადმინისტრაციისთვის.

საკანონმდებლო ორგანოების პერსონალი აცნობიერებს ნარკოტიკების მომხმარებელთა უფლებებისა და ჯანმრთელობის მნიშვნელობას საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტრატეგიების დადგენაში აივ-პრევენციისა და ნარკოტიკის მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირების საქმეში.

- სემინარები პარლამენტარებისა და კანონმდებლებისათვის ეროვნული ნარკოპოლიტიკისა და ადამიანთა უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულებების პრაქტიკული გამოყენების შესახებ;
- პრაქტიკული სემინარების გამართვა პარლამენტარებსა და კანონმდებლებში უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად;
- სასწავლო ვიზიტები ნიდერლანდებში/ესპანეთში პარლამენტარებისა და კანონმდებლებისათვის.

ყველა დაინტერესებული მხარე (stakeholder) კარგად აცნობიერებს ნარკოტიკების მომხმარებელთა უფლებების მნიშვნელობასა და აივ-ეპიდემიის გავრცელების საშიშროებას ნარკოტიკების ინიექციური მოხმარების შედეგად.

- პროექტების დაგეგმვა და სტრატეგიული შეხვედრები პარტნიორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან (stakeholder);
- საინფორმაციო კონფერენცია ყველა პარტნიორისა და დაინტერესებულ მხარეებთან (stakeholder);
- პრეს-კონფერენციები პროექტის დაგეგმვის, სტრატეგიული შეხვედრისა და ყოველი სასწავლო ვიზიტის შემდეგ;
- სტატიები და ინტერვიუები საპროექტო ქმედებებისა და შედეგების შესახებ საქართველოს რადიოთი, ტელევიზიით, გაზეთებსა და ინტერნეტ-მედიაში.

2010 წლის წლიური ბალანსი, ლარი

აქტივები	წლის დასაწყისში	საანგარიშო პერიოდის დასასრულს
მიმდინარე აქტივები		
ნაღდი ფული საღაროში _____ (1100)		
ფული საბანკო ანგარიშებზე _____ (1200)	111390	60253
მოკლევადიანი ინვესტიციები _____ (1300)		
მოთხოვენი მოწოდებიდან და მომსახურებიდან _____ (1410)		
მოთხოვნა მეკავშირე საწარმოების მიმართ _____ (1420)		
საეჭვო მოთხოვნების კორექტირება _____ (1415)		
მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ _____ (1430)	424	542
მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე _____ (1460)		
გადახდილი დღგ _____ (3340)		
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები _____ (1480)		
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები _____ (1490)	1031	
სულ მიმდინარე აქტივები	12845	60795
სასაქონლო მატერიალური მარაგი		
საქონელი _____ (1610)		
ნედლეული და მასალები _____ (1620)		
დაუმთავრებელი წარმოება _____ (1630)		
მზა პროდუქცია _____ (1640)		

სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგ_____ (1690)		
წინასწარი გაწეული ხარჯები_____ (1700)		
სხვა მიმდინარე აქტივები _____ (1900)		
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი		
გრძელვადიანი აქტივები		
მიწის ნაკვეთები _____ (2110)		
დაუმთავრებელი მშენებლობა_____ (2120)		
შენობა-ნაგებობები _____ (2130)		
მანქანა-დანადგარები _____ (2150)		
ოფისის აღჭურვილობა _____ (2160)	24192	39330
სატრანსპორტო საშუალებები _____ (2180)		
სხვა ძირითადი საშუალებები _____ (2170)		
გრძელვადიანი მოთხოვნები _____ (2300)		
გადავადებული საგადასახადო აქტივები _____ (2340)		
გრძელვადიანი ინვესტიციები _____ (2400)		
არამატერიალური აქტივები _____ (2500)		
გრძელვადიანი აქტივები სულ	24192	39330
აქტივები სულ	37037	100125
პასივები	წლის დასაწყისი	საანგარიშო პერიოდის დასასრულს
მიმდინარე ვალდებულებები		
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები _____ (3110)	26	
მიღებული ავანსები_____ (3120)	112814	50281
გადასახდელი ხელფასი _____ (3170)	5	10079
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე_____ (3160)		
მოკლევადიანი სესხები _____ (3210)		
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი_____ (3230)		
გადასახდელი მოგების გადასახადი _____ (3310)		
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი _____ (3320)		435
გადასახდელი დღგ _____ (3330)		
გადასახდელი აქციზი _____ (3350)		
სოც. გადასახადი _____ (3370)		
სხვა საგადახდო ვალდებულებები _____ (3390)		

გადასახდელი პროცენტები _____(3410)		
გადასახდელი დივიდენდები _____(3420)		
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები _____(3190)		
სულ მიმდინარე ვალდებულებები	112845	60795
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება _____(4100)		
გადავადებული მოგების გადასახადი _____(4210)		
ანარიცხები _____(4300)		
გადავადებული შემოსავალი _____(4410)		
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები _____(4220)		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი _____(5100)		
სარეზერვო კაპიტალი _____(5410)		
სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება _____(5490)	24192	39330
გაუნაწილებელი მოგება _____(5310)		
დაუფარავი ზარალი* _____(5320)		
სულ საკუთარი კაპიტალი	24192	39330
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	137037	100125